ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №28

2010 წლის 19 ოქტომბერი

ქ. ახმეტა

ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ი“ ქვეპუნქტის, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს №726 ბრძანებულების ,,ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების თაობაზე'' და ,,ნორმატიული აქტების შესახებ'' საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები, თანდართული დანართის სახით.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სახელფასო სარგოების დამტკიცების შესახებ'' ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 13 აგვისტოს №13 დადგენილება.
3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ა. მაილაშვილი

დანართი

ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა

თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგო
1	გამგებელი	2360 ლარი
2	გამგებლის მოადგილე	900 ლარი
3	სამსახურის უფროსი	700 ლარი
4	სამსახურის განყოფილების უფროსი	500 ლარი
5	გამგებლის თანაშემწე	450 ლარი
6	გამგეობის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული	400 ლარი
7	მთავარი სპეციალისტი	420 ლარი
8	წამყვანი სპეციალისტი	380 ლარი
9	უფროსი სპეციალისტი	300 ლარი
10	სპეციალისტი სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურში	275 ლარი
11	სპეციალისტი	225 ლარი